პროგრამის სახელწოდება: ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 350სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 მაქსიმალური - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე კვალიფიციური კადრი. პროგრამის დასრულების შემდეგ პირს ექნება ისეთი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, როგორიცაა: ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების აღწერა; ცხოველთა დაავადებების სახეები. კლინიკური ნიშნებისა და გამომწვევი მიზეზების დახასიათება; მკურნალობის პერიოდში ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელების პროცესის აღწერა; ინფექციის კონტროლის სტანდარტული უსაფრთხოების ზომები და საიზოლაციო/საკარანტინო ღონისძიებების განხორციელების წესების აღწერა; ექიმი ვეტერინარის მითითებებით პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების ჩატარება; ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაში მონაწილეობა ექსპრეს ტესტების გამოყენებით; ექიმი ვეტერინარის დანიშნულების შესაბამისად ცხოველთა კრიტიკული მდგომარეობის მართვა და ცხოველის ორგანიზმში სამკურნალო საშუალებების შეყვანა; ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის პროცედურების განხორციელების წესების აღწერა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს დასაქმდეს ვეტერინარი ექიმის დამხმარის ფუნქციების შემსრულებლად ფერმერულ მეურნეობებსა და შესაბამის ორგანიზაციებში.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები: (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების აღწერა;

2. ცხოველთა დაავადებების სახეები. კლინიკური ნიშნებისა და გამომწვევი მიზეზების დახასიათება;
3. მკურნალობის პერიოდში ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელების პროცესის აღწერა;
4. ინფექციის კონტროლის სტანდარტული უსაფრთხოების ზომები და საიზოლაციო/საკარანტინო ღონისძიებების განხორციელების წესების აღწერა;
5. პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების ჩატარება ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობით;
6. ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაში მონაწილეობა ექსპრეს ტესტების გამოყენებით;
7. ვეტერინარი ექიმის ხელმძღვანელობით ცხოველთა კრიტიკული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის მიღება და ვეტერინარი ექიმის დანიშნულების შესაბამისად ცხოველის ორგანიზმში სამკურნალო საშუალებების შეყვანა;
8. ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის პროცედურების განხორციელების წესების აღწერა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის დაშვების წინაპირობას და აქვს მოკლე დროში დასაქმება და/ან თვითდასაქმების სურვილი.

სწავლება თანხვედრაშია მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადებას.

პროგრამაზე სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. თეორიული კომპონენტის შესწავლა მოხდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო), პრაქტიკული კომპონენტი ჩატარდება პარტნიორ ორგანიზაციაში (C გარემო), მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, სულ 350 სთ; კვირეული საათობრივი დატვირთვა 25 სთ.

სწავლების მეთოდებია: ლექცია, დისკუსია, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული მეცადინეობა. შეფასებისას გამოყენებული იქნება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი (პროგრამის დასრულების შემდეგ) შეფასება, შეფასების მეთოდების გამოყენებით: ზეპირი და/ან წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.